ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ბრძანება:№44. 4424052111

თარიღი:21/02/2024

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტში „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შენარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნის, კონკურსის წესისა დაპირობების, განაცხადის ფორმისა და საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტს „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“. პროექტის ზოგადი მიზანია ქუთაისის გადაქცევა კარგ საცხოვრებელ და საინვესტიციო ქალაქად. კონკრეტულად კი ქუთაისის, იმერეთის დანარჩენი, გურიის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში შესაძლებლობის შექმნა ეფექტიანი წვლილის შესატანად ინტეგრირებულ ტერიტორიულ განვითარებაში მაღალი ხარისხის საჯარო სერვისებით, მათი პოტენციალის, კომპეტენციებისა და ანგარიშვალდებულობის გაზრდით. პროექტი ეხმარება ქუთაისის მუნიციპალიტეტს შექმნას პირობები ქალაქში სოციალური ინკლუზიურობის, ბიზნესის განვითარებისა და შემოსავლის მისაღებად. პროექტის აქტივობებს შორის ერთ-ერთი მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა არის შემდეგი მიმართულებებით პროდუქტებისა და სერვისების აღდგენა/შენარჩუნება, რომლებიც წარმოადგენდნენ ტერიტორიის ისტორიულად მნიშვნელოვან აქტივებს. ფინანსური მხარდაჭერა გაცემა კონკურისის საფუძველზე.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პროექტი „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438- 693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსი 2024 წლის 22 თებერვლიდან.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის მსურველებს განაცხადის წარმოდგენა შეუძლიათ 2024 წლის 19 თებერვლიდან 2024 წლის 03 აპრილის 18 : 00 საათამდე.

3. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღები კონკურსის წესი და პირობები N1 დანართის შესაბამისად.

/დანართი N1 ბრძანებას თან ერთვის/

4. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისისთვის ისტორიულად მნიშვნელოვანი პროდუქტებისა და სერვისების აღსადგენად/შესანარჩუნებლად მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად კონკურსში მონაწილეობის განაცხადის ფორმა N2 დანართის შესაბამისად.

/დანართი N2 ბრძანებას თან ერთვის/

5. შეიქმნას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438-693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერის მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა/. იოსები ხახალეიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ/. ზვიად არჩუაძე - ააიპ „მართვისა და განვითარების გადაწყვეტილებების ჰაბის“ დირექტორი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ/. იუზა უგულავა - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

დ/. თამარ დახუნდარიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;

ე/. დავით ნიშნიანიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ვ/. თინათინ ბერიშვილი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ზ/. ლელა მაჩაიძე - პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ გუნდის ლიდერი - კომისიი წევრი;

თ/. დავითი ჩხობაძე - ააიპ „იმერეთის განვითარების ცენტრის“ დირექტორი - კომისიის წევრი;

ი/. ირაკლი თევზაძე - ააიპ „სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“-ს გენერალური მდივნის მოადგილე - კომისიის წევრი;

კ/. ემზარ ღვინიანიძე - „იმერეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;

ლ/. თეა ფორინავა - ააიპ „ქალთა ფონდი სოხუმი“-ს გამგეობის წევრი, აღმასრულებელი დირექტორი - კომისიის წევრი.

6. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას შორის 2022 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ENI/2022/438- 693 საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის „ქუთაისი: ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერის მიმღები კომისიის დებულება N3 დანართის შესაბამისად.

/დანართი N3 ბრძანებას თან ერთვის/

7. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

10. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი